საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის ანგარიში 2013 წელი

ანგარიშის სტრუქტურა



ნაწილი I

საქმიანობა პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნამდე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 14 მარტის №38 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2012-2015 წლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (შემდგომში - სწავლების ცენტრი), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნამდე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	**საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა**
1.1.	სასწავლო მასალების მომზადება საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
1.2.	საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
1.3.	ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
1.4.	ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
1.5.	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, ჩატარება
1.6.	BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგი (TTF) საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის
1.7.	ტრენინგი ფსიქოლოგიური კვლევის საველე სამუშაოების შესახებ
მიზანი №2	**ინფორმირებული ამომრჩეველი**
2.1	საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
2.2.	პროექტი - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა"
2.3.	პროექტი "მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის ამაღლება"
მიზანი №3	**დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა**

3.1.	სასწავლო მასალები, ელექტრონული სწავლების პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები
3.2.	BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგი (TTF) პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის
3.3.	მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

მიზანი №1. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

1.1. სასწავლო მასალების მომზადება საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგებისათვის

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა შემდეგი სასწავლო მასალა:

1. ელექტრონული სასწავლო პროგრამა	შინაარსი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	პროგრამა ითვალისწინებს ელექტრონული ფორმატით ვიზუალური და სქემატური ეფექტების გამოყენებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით.
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	

2. დამხმარე სახელმძღვანელო	დაიბეჭდა	
	ქართული	ინგლისური
ფასილიტატორებისათვის	5	
ტრენერებისათვის	10	
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	55	5
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	2500	5

3. საინფორმაციო ხასიათის მასალა	დაიბეჭდა
	ქართული
კენჭისყრის პროცედურების ამსახველი პოსტერები	200
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის სამახსოვრო ინსტრუქცია	200
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	200
ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	910

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	376
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის სამახსოვრო ნსტრუქცია	200
საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	200
ფოტოვიდეო გადაღების ინსტრუქცია	100

1.2. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №9 ნაძალადევის, №52 ბაღდათის და №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქებში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის არსებული ბაზის საფუძველზე შეარჩია 8 ტრენერი.

ტრენერებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი, რომლის ჩატარებაც უზრუნველყოფილ იქნა სწავლების ცენტრის მიერ UNDP-ის პროექტთან პარტნიორობით.

1.3. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები განხორციელდა 2013 წლის 15 – 20 მარტს. სწავლების კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში.

სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ამომრჩეველთა სიები;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და დახარისხება;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი.

1.4. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლების კურსი განხორციელდა სამ ეტაპად, მიმდინარე წლის 13 მარტიდან - 20 აპრილამდე.

I ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს.

II ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და კომისიის მდივნების სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- ამომრჩეველთა სიები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

III ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის ინსცენირება;

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლება განხორციელდა კომბინირებული მეთოდით:

- ელექტრონული სწავლება (სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ელ. სასწავლო პროგრამა, ცესკოს მიერ მომზადებული კენჭისყრის დღის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება);
- ვერბალური სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები);
- როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება და კენჭისყრის დღის ინსცენირება).

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

I ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი

საერთო რაოდენობა - 2301

დამსწრეთა რაოდენობა - 1709

დასწრების კოეფიციენტი - 74%







II ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის მდივანი
საერთო რაოდენობა - 531
დამსწრეთა რაოდენობა - 477
დასწრების კოეფიციენტი - 90%





III ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი (ინსცენირება)
საერთო რაოდენობა - 2301
დამსწრეთა რაოდენობა - 2072
დასწრების კოეფიციენტი - 90%









1.5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, ჩატარება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, ჩატარება.

სასერტიფიკაციო გამოცდისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება, რომელიც ცესკოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 600 ტესტი;
- საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - 1800 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 100 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 21 ტესტი (ნიმუშის სახით).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ დებულების თანახმად:

- გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე;
- გამოცდა ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით.

გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. თითოეული გამოსაცდელისათვის საგამოცდო ტესტების შერჩევა განხორციელდა ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. პროგრამულად შერჩეული 30 საგამოცდო ტესტი მოიცავდა:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 6 კითხვას;
- საქართველოს ორგანული კანონიდან ”საქართველოს საარჩევნო კოდექსი” - 17 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 5 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 2 კითხვას.

დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 24 ქულა. გამოსაცდელებს, რომლებმაც დააგროვეს გამსვლელი ქულა ადგილზე გადაეცათ სერტიფიკატები.

გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა ორმა მონაწილემ. ცესკომ განიხილა აღნიშნული საჩივრები და შესაბამისი საფუძვლების არ არსებობის გამო არ დააკმაყოფილა.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა 7 არასამთავრობო ორგანიზაცია:

- ”მომავლის არჩევანი”;
- „დემოკრატიის ქსელი“;
- „ევროპულ დემოკრატიული ცენტრი“;
- „სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნები“;
- ”ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები”;
- ”დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება”;
- ”საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი”.

1.6. BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგი (TTF) საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით, სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან "სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობა" ერთობლივი პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყო BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგის (TTF) ჩატარება საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის.

BRIDGE სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად, მონაწილეებს მიენიჭათ BRIDGE-ის ნახევრად აკრედიტებული ფასილიტატორის სერტიფიკატი.

1.7. ტრენინგი ფსიქოლოგიური კვლევის საველე სამუშაოების შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სწავლების ცენტრსა და საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრს (ICPS) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ევროკავშირისა (UN) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ფსიქოლოგიური კვლევის საველე სამუშაოები. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ინტერვიუს ტექნიკის მიმოხილვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი საველე სამუშაოებისთვის;
- რესპოდენტის შერჩევა და კომუნიკაცია;
- მონაცემთა შეყვანა და სხვა.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა (30 მონაწილე).

მიზანი №2. ინფორმირებული ამომრჩეველი

2.1. საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები

ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები და პოსტერები:

- ამომრჩევლის სამახსოვრო (დარიგდა ამომრჩევლის ბარათებთან ერთად);
- პოსტერი "კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის" (საჯარო გაცნობისათვის გამოიფინა საარჩევნო უბნებზე).

2.2. პროექტი - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა"

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ფართომასშტაბიანი პროექტი - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა".

1. **პროექტის მიზანი**

პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა (მათ შორის, ეთნიკური უნცირესობების წარმომადგენელთა) სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში (პროექტის აქტუალობა განაპირობა, ასევე, მოახლოებულმა პრეზიდენტის არჩევნებმა და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა).

2. **პროექტის სამიზნე ჯგუფი**

პროექტი განხორციელდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერ 14 უნივერსიტეტში, მათ შორის 5 რეგიონალურ და 9 თბილისში მდებარე უნივერსიტეტში:

პროექტში მონაწილეობა მიიღო 1333 ახალგაზრდამ (18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა), მათ შორის:

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** (საბაკალავრო პროგრამა: ფილოსოფია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, დაწყებითი განათლება) 170 სტუდენტმა:



- **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** (საბაკალავრო პროგრამა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, საჯარო მმართველობა და საჯარო ადმინისტრირება) - 389 სტუდენტმა:



- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან** (საბაკალავრო პროგრამა: ეკონომიკა და ფინანსები, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი, საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საქმე) – 323 სტუდენტმა:



- **იურიდიული ფაკულტეტიდან** (საბაკალავრო პროგრამა: სამართალი, საერთაშორისო სამართალი) - 402 სტუდენტმა:



- **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიდან** (სამცხე-ჯავახეთის მხარე და ქვემო ქართლის მხარე) 49 ახალგაზრდამ:





3. **პროექტის განხორციელების გზები**

პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ტრენერთა გადამზადება, სემინარისთვის საჭირო სასწავლო მასალების შემუშავება და ბეჭდვა:

4. ელექტრონული პრეზენტაცია	შინაარსი
ახალგაზრდა ამომრჩევლებისთვის	პროგრამა ითვალისწინებდა ელექტრონული ფორმატით ვიზუალური და სქემატური ეფექტების გამოყენებით ახალგაზრდების ინფორმირებულობის უზრუნველყოფას საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით.
5. დამხმარე სახელმძღვანელო მასალები	**დაიბეჭდა**
სახელმძღვანელო მასალები ტრენერებისათვის	11
6. სერტიფიკატები	**დაიბეჭდა**
სემინარში მონაწილე სტუდენტებისთვის	2000
7. საინფორმაციო ხასიათის მასალა	**დაიბეჭდა**
სამახსოვრო ბუკლეტები ახალგაზრდა ამომრჩევლებისთვის	2000

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, შეთანხმებული გრაფიკების შესაბამისად, უნივერსიტეტებში ჩატარდა 1 საათიანი სემინარები (სულ - 85 სემინარი). სემინარის ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის 11 ტრენერმა. სემინარში მონაწილე სტუდენტებზე გაიცა სერტიფიკატები.

სწავლების ცენტრში ჩატარდა 2 სემინარი. სემინარის ჩატარება უზრუნველო სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა.

2.3. პროექტი "მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის ამაღლება"

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესებში ჩართულობისა და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) თანამშრომლობით, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა განახორციელა ერთობლივი პროექტი ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის. პროექტის ფარგლებში ცესკოს ესტუმრა ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდაში მცხოვრები დამამთავრებელი კლასის 25 მოსწავლე.

მოსწავლეები გაეცნენ ცესკოს მუშაობის პრინციპებს, მონაწილეობა მიიღეს სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ დისკუსია/სემინარში თემაზე: "არჩევნები და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა". სემინარის ფარგლებში მოსწავლეებისათვის მოეწყო იმიტირებული არჩევნები და რეფერენდუმი.

მიზანი №3. დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

3.1. სასწავლო მასალები, ელექტრონული სწავლების პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის - საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები

სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო მასალები დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის პოლიტიკური პარტიებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის.

დამხმარე სახელმძღვანელო	დაიბეჭდა	
	ქართული	ინგლისური
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის	60	5
არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის	75	35
მედია საშუალებების წარმომადგენლებისათვის	100	5
ბროშურა „კენჭისყრის დღე“ დაინტერესებული სუბიექტებისათვის	5	5

სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ელექტრონულ სასწავლო პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

პროგრამა ითვალისწინებს მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას კენჭისყრის დღის პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

ელექტრონული პროგრამის სასწავლო კურსი შედგება 4 ძირითადი ნაწილისაგან:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა და კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- კენჭისყრის დღის განხცხადება/საჩივრები.

3.2. BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგი (TTF) პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საკადრო რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით, სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან ერთობლივი პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყო BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგის (TTF) ჩატარება.

BRIDGE სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიენიჭათ BRIDGE-ის ნახევრად აკრედიტებული ფასილიტატორის სერტიფიკატი.

3.3. მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსების ჩატარება

I. საგრანტო თემატიკა:

არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად

საგრანტო კონკურსის მიზანი:

იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საზოგადოების საარჩევნო განათლების სრულყოფასა და ამ მიმართულებით ინტენსიური, სისტემური ხასიათის პროექტების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას.

N	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)	ინსტიტუციური მხარდაჭერა 2013 წლის საარჩევნო პროექტებისთვის	თბილისი რეგიონები	99.996 ლარი
2	ახალი თაობა-ახალი ინიციატივა	ახალი თაობა-ახალი ინიციატივა 2013	რეგიონები	99655 ლარი
3	დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება	დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოების მხარდაჭერა	თბილისი რეგიონები	34900 ლარი
4	განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)	ძლიერი სამოქალაქო სექტორი, განვითარებისა და დემოკრატიისათვის	თბილისი რეგიონები	34950 ლარი
5	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	ორგანიზაციის ინსტიტუციონალური გაძლიერება	თბილისი	35000 ლარი
6	სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი	ჩვენ ხალხის გვერდში, არჩევნები დემოკრატიიის გზა	თბილისი	29950 ლარი
7	ჯანმრთელი სამყარო	ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერება მისი გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად	თელავი, გორი ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი	26735 ლარი
8	ევროპული დემოკრატიული ცენტრი	არასამთავრობო სექტორი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის	თბილისი	25320 ლარი

II. საგრანტო თემატიკა:

”საარჩევნო გარემოს რეგიონული კვლევა”

საგრანტო კონკურსის მიზანი:

აპლიკანტთა შეხედულებისამებრ შერჩეული საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის საარჩევნო გარემოს სიტუაციური ანალიზისათვის (ოლქების მიხედვით) კვლევის პროექტების შერჩევა-დაფინანსება.

პროექტებით გათვალისწინებული კვლევა უნდა განხორციელებულიყო ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მიმართულებით:

- საარჩევნო გარემოს საერთო ანალიზი რეგიონში (საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების შესწავლა სხვადასხვა ნიშნით, მაგ., დემოგრაფია, აქტივობა და სხვ.)
- არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევა რეგიონში (მაგ., საარჩევნო სფეროში სასწავლო პროგრამების განმახორციელებელი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის გამოვლენა, მათ მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ამომრჩეველთა აქტივობისა და გამოყენებული სასწავლო პროგრამების შესწავლა და სხვ.)
- პარტიების რეგიონული განვითარების კვლევა (მაგ., პარტიის, მისი რეგიონული წარმომადგენლობების აქტივობის შესწავლა საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში; ამომრჩევლებთან კომუნიკაციის საშუალებები და ფორმატი; პარტიის მონაწილეობა ტრენინგებში ან სხვა მსგავს ღონისძიებებში და სხვ.)
- მედიის კვლევა (მაგ., მედიის საარჩევნო აქტივობა, ამომრჩეველთა ინფორმირების ფორმატი და სხვ.)
- საარჩევნო გარემოს პრობლემების კვლევა (მაგ., საარჩევნო პროცესზე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და/ან ფინანსების არამართლზომიერი ხარჯვის ზეგავლენა, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ამომრჩეველთა მიმართ ზეწოლის ფაქტების შესწავლა/ანალიზი და სხვ.)

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	სამოქალაქო განვითარების საერთაშორის ქსელი	პროცესების გამჭვირვალობა და შეფასება	მცხეთა-მთიანეთი	19.995 ლარი
2	კვლევისა და განვითარების ასოციაცია	საარჩევნო გარემოს რეგიონალური კვლევა	შიდა ქართლი	16.926 ლარი
3	სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები	საარჩევნო გარემოს კვლევა შიდა ქართლის რეგიონში	შიდა ქართლი	19.970 ლარი
4	გენდერული კულტურის ცენტრი	გურიის რეგიონის საარჩევნო გარემოს კვლევა პარიტეტული საარჩევნო პროცესისათვის	გურია	14.600 ლარი
5	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში	სამეგრელო	20.000 ლარი
6	ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები	რეგიონი აჭარა	აჭარა	19.901 ლარი

7	ევროპულ დემოკრატიული ცენტრი	საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას ქვემო ქართლში	ქვემო ქართლი	19.950 ლარი
8	დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების აკადემია	საარჩევნო გარემოს კვლევა კახეთის რეგიონში	კახეთი	19.950 ლარი

<u>III. საგრანტო თემატიკა:</u>

საზოგადოების ინფორმირების კამპანია 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებისათვის

საგრანტო კონკურსის მიზანი:

სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსი გამოაცხადა ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობითა და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით, რომლის მიზანი იყო იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო პროცესისადმი სოციალური განწყობის გაუმჯობესებას, მიმდინარე საარჩევნო წელს ელექტორატის აქტიურ მონაწილეობას, ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებასა და ამ მიმართულებით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო, საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზება/ჩატარებას.

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ქალები მომავლისათვის	„მიდი, აირჩიე“	კახეთი (საგარეჯო)	3998.4 ლარი
2	კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი	პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკურად ოსი, ქისტი და ნატურალიზებული ჩეჩენი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება, განათლება, ცნობიერების ამაღლება და მოტივირება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად	პანკისის ხეობა	4000 ლარი
3	ქალი და განვითარება	„ვიმოქმედოთ ერთად“	შიდა ქართლი სამცხე-ჯავახეთი	7000 ლარი
4	კავკასიური მოზაიკა	„მე ვირჩევ პრეზიდენტს“	კახეთი	4000 ლარი
5	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	„ეთნიკურ უმცირესობათა შესაძლებლობების განვითარება“	საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი	4000 ლარი

6	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	”მდგრადი საარჩევნო ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა სამეგრელოსა და ქართლის რეგიონში”	სამეგრელო და შიდა ქართლი	7000 ლარი
7	ჯანმრთელი სამყარო	„ბოშათა თემის ინფორმირებულობა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით“	თბილისი, გაჩიანი	4000 ლარი
8	Post - ალიონი	გურიის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების (მუსულმანი) ქალების ინფორმირება და გააქტიურება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის	გურია	3970 ლარი

ნაწილი II

საქმიანობა პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	**საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა**
1.1.	სასწავლო მასალების მომზადება საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგებისათვის
1.2.	საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება
1.3.	ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
1.4.	ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისათვის
1.5.	ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
1.6.	ტრენინგი ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი“ მონაწილე პირებისათვის
მიზანი №2	**ინფორმირებული ამომრჩეველი**
2.1.	საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის
2.2.	საინფორმაციო ხასიათის პროექტები სტუდენტებისათვის
მიზანი №3	**დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა**
3.1.	სასწავლო მასალები, ელექტრონული სწავლებისა და ტესტირების პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის
3.2.	ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის
3.3.	BRIDGE-ის ტრეინინგი თემაზე „გენდერი და არჩევნები“ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის
3.4.	ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის
3.5.	ტრენინგები სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის
3.6.	ტრენინგები ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის
3.7.	ტრენინგები საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის
3.8.	ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის

3.9.	მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

მიზანი №1. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

1.1. სასწავლო მასალების მომზადება საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგებისათვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა შემდეგი სასწავლო მასალა:

შინაარსი	
სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“	სასწავლო ხასიათის ფილმი და აგრეთვე აპრობირებული ელექტრონული პროგრამა ითვალისწინებდა ვიზუალური და სქემატური ეფექტების გამოყენებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სასწავლო ფილმი მომზადდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.
ელექტრონული სასწავლო პროგრამა	

სასწავლო ფილმი				
”კენჭისყრის დღის პროცედურები”	ქართული	სუბტიტრებით აზერბაიჯანულ ენაზე	სუბტიტრებით სომხურ ენაზე	სუბტიტრებით ინგლისურ ენაზე
	1 000 CD	100 CD	100 CD	500 CD

დამხმარე სახელმძღვანელო	ქართული	ქართულ/აზერბაიჯანული	ქართულ/სომხური	ინგლისური
ტრენერებისათვის	112			
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	1200			100
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	47 650	2 400	1 690	100

საინფორმაციო ხასიათის მასალა	ქართული	ქართულ/ სომხური	ქართულ/ აზერბაიჯანული
კენჭისყრის პროცედურების ამსახველი პოსტერები	4000	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	20000	750	1000
საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	8000	300	400
ეთიკის კოდექსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის (პოსტერი)	3900		
ფოტო-ვიდეო გადაღება საარჩევნო უბანზე (პოსტერი)	3900		

1.2. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეირჩა 112 ტრენერი.

ტრენერებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი, რომლის ჩატარებაც უზრუნველყოფილ იქნა სწავლების ცენტრის მიერ UNDP-ის პროექტთან პარტნიორობით.

1.3. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები განხორციელდა 2013 წლის 5-6 სექტემბერს. სწავლების კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში.

სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ამომრჩეველთა სიები;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და დახარისხება;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:
საერთო რაოდენობა - 949
დამსწრეთა რაოდენობა - 915
დასწრების კოეფიციენტი - 96.5%



1.4. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისათვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისათვის:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებისა და იურისტების ტრენინგი			
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით**	**ჯგუფში მონაწ. რა-ბა**	**პერიოდი**
ბოლნისის რესურს ცენტრი	ქვემო ქართლი -14	14	29.08.2013
თელავის რესურს ცენტრი	კახეთი -16	16	30.08.2013
თბილისი, ცესკოს შენობა	თბილისი - 20 , მცხეთა - მთიანეთი - 8	28	31.08.2013
ბორჯომის რესურს ცენტრი	შიდა ქართლი - 8 , სამცხე - ჯავახეთი - 12	20	01.09.2013
ქუთაისის რესურს ცენტრი	იმერეთი - 24 , რაჭა - ლეჩხუმი - 6 , ქვემო სვანეთი - 2	32	02.09.2013
სენაკის რესურს ცენტრი	სამეგრელო - 16 , ზემო-სვანეთი - 2	18	03.09.2013
ბათუმის რესურს ცენტრი	აჭარა - 12 , გურია - 6	18	04.09.2013

სასწავლო მოდულები:

- საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვის პროცედურები;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები.

1.5. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლების კურსი განხორციელდა სამ ეტაპად, მიმდინარე წლის 13 სექტემბრიდან - 24 ოქტომბრამდე.

I ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- ამომრჩეველთა სიები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში.

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება - საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება - როლური თამაში.

II ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის ინსცენირება (სასწავლო ფილმი).

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება - პრაქტიკული სავარჯიშოები, კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება („კენჭისყრის დღის პროცედურები“).

III ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და კომისიის მდივნების სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

სწავლების მეთოდი: პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები).

სწავლების ცენტრმა აგრეთვე უზრუნველყო სპეციალური სწავლების კურსის ჩატარება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, მათ შორის, ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2013 წლის ოქტომბრის მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს N251/2013 განკარგულების საფუძველზე შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა I ეტაპის ტრენინგზე (13 წევრი) დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 47230
დამსწრეთა რაოდენობა - 34813
დასწრების კოეფიციენტი - 74%







საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა II ეტაპის ტრენინგზე (13 წევრი) დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 47220
დამსწრეთა რაოდენობა - 36697
დასწრების კოეფიციენტი - 78%





საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა III ეტაპის ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა საერთო რაოდენობა – 10 960
დამსწრეთა რაოდენობა - 9 991
დასწრების კოეფიციენტი - 91%





გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა – 441
დამსწრეთა რაოდენობა - 315
დასწრების კოეფიციენტი - 71%







1.6. ტრენინგი ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი" მონაწილე პირებისათვის

2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ცესკოში მოქმედი ცხელი ხაზის თანამშრომლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსის ჩატარება:

სასწავლო მოდულები
▸ საქართველის პრეზიდენტის არჩევნების ზოგადი მიმოხილვა ▸ არჩევნების მონიტორინგი და მედია ▸ ამომრჩეველთა სიები ▸ გასაჩივრების ვადა და წესი ▸ კენჭისყრის დღის პროცედურები ▸ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შეჯამება

მიზანი №2. ინფორმირებული ამომრჩეველი

2.1. საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის

ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები და პოსტერები:

- ამომრჩევლის სამახსოვრო (დარიგდა ამომრჩევლის ბარათებთან ერთად);
- პოსტერი "კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის" (საჯარო გაცნობისათვის გამოიფინა საარჩევნო უბნებზე).

2.2. საინფორმაციო ხასითის პროექტები სტუდენტებისათვის

2.2.1. პროექტი - "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი"

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი". პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზებას, მათი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას არჩევნების მნიშვნელობისა და მათი როლის შესახებ, ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლების აქტიური ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას.

პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მოიცავდა:

- პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორების, დეკანატის წარმომადგენლების, სტუდენტების, ამომრჩეველთა საარჩევნო კულტურის განვითარების მიმართულებით საქმიანობის განმახორციელებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვდრას ცესკოს თავმჯდომარესთან
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ დაგეგმილი აქტივობებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობას
- სტუდენტების მიერ საკუთარი ხმის მნიშვნელობის გააზრების მიზნით ღია ცის ქვეშ "ფაზელის" აწყობას
- სტუდენტების მიერ არჩევნების თემაზე მომზადებული სლოგანების კონკურსს (გამოავლინდა სამი გამარჯვებული სლოგანი: "არჩევნები ეს არის სამართალი მოქმედებაში", "ჩემი ხმა გადამწყვეტია", "დემოკრატიული ქვეყნის საწინდარი სამართლიანი არჩევნებია")
- სასწავლო ფილმის "კენჭისყრის დღის პროცედურები" ჩვენებას
- სტუდენტების მონაწილეობით ხმის მიცემის იმიტირებული პროცესის ჩატარებას

2.2.2. პროექტი - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა"

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტის - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა" მეორე ეტაპი. პროექტი განხორციელდა თბილისში მდებარე 3 უნივერსიტეტში და 5 რეგიონალურ უნივერსიტეტში.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პროექტის ფარგლებში:

- უნივერსიტეტებში სტუდენტებთან ჩატარდა სემინარი/დისკუსია თემაზე "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა";
- მოეწყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული კენჭისყრის დღის ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება;
- სტუდენტებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები, რომელშიც გაწერილი იყო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა.





მიზანი №3. დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

3.1. ელექტრონული სწავლებისა და ტესტირების პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის

სწავლების ცენტრმა არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა სასწავლო ხასიათის ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო სრულფასოვანი ინფორმაცია კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისის მუშაობის წესის შესახებ და მიღებული ცოდნა თავად გადაემოწმებინა ტესტირების პროგრამის საშუალებით. სასწავლო პროგრამასთან ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა მისი განთავსება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივით, სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

3.2. ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა ტრენინგი ჩაატარა მედია საშუალებების, მათ შორის, რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 85 ჟურნალისტმა.

პროექტი განხორციელდა საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან, მედიამონიტორინგის ცენტრთან პარტნიორობით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მედიის როლი საარჩევნო პროცესებში, წინასაარჩევნო კამპანია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა, კენჭისყრის დღის პროცედურები.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები მედიისათვის.

3.3. BRIDGE-ის ტრენინგი თემაზე „გენდერი და არჩევნები“ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის

სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პარტნიორობით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყოფილ იქნა BRIDGE-ის სასწავლო კურსის ჩატარება თემაზე „გენდერი და არჩევნები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის საშუალებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა.

ტრენინგებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები, საკანონმდებლო ჩარჩო, საარჩევნო ციკლი, ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკაში, საარჩევნო სისტემების გავლენა წარმომადგენლობაზე, საარჩევნო სისტემები, მათ შორის, მაჟორიტარული,

პროპორციული, შერეული და სხვა სისტემები, საარჩევნო ბარიერი, მანდატების განაწილების ფორმულები, კვოტების სახეობები, აღსრულება და სანქციები, ერთმანდატიანი/მრავალმანდატიანი ოლქები და კვოტების გამოყენება, ადვოკატირება და ლობირება, სტრატეგიის შემუშავება, ამომრჩეველთა განათლება, მესიჯების შემუშავება, გენდერი, მედია და არჩევნები, გენდერული საკითხების მედია-მონიტორინგი.

ტრენინგები ჩატარდა თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების, მათ შორის, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების, როლური თამაშებისა და პრეზენტაციების გამოყენებით.

3.4. ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის.

სასწავლო მოდულები:
▸ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა ▸ საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა - ნაგებობების გადაცემის წესი ▸ ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში ▸ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა ▸ საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა ▸ თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა ▸ პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

3.5. ტრენინგები სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის

სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყო სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის ტრენინგის ჩატარება.

სასწავლო მოდულები: არჩევნების მიმოხილვა, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნების რეგულაციების გაცნობა; საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი უფლებამოსილება; კენჭისყრის დღის პროცედურები; კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები. ტრენინგის ფარგლებში მოეწყო სასწავლო ფილმის "კენჭისყრის დღის პროცედურები" ჩვენება. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები.

3.6. ტრენინგები ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს.

ტრენინგი ჩაუტარდა 112 დამკვირვებელს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ 22 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან:

1. ახალი თაობა-დემოკრატიული საქართველოსათვის
2. კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ევრაზიის ინსტიტუტი
3. ქართული ალტერნატივა
4. სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი
5. უფლებადამცველთა გაერთიანება
6. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
7. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
8. ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის
9. ახალი თაობა-ახალი ინიციატივა
10. სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები
11. ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები
12. ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია
13. საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი
14. მწვანე დედამიწა
15. საქართველოს მარტოხელების, მარტოხელა ინვალიდ-პენსიონერთა და მარტოხელა დედათა დახმარების კავშირი
16. სიმართლის რწმენა
17. კავშირი თემი და თვითმმართველობა
18. ჯანმრთელი სამყარო
19. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი
20. საზოგადოებრივი დამცველი
21. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
22. თავისუფალი არჩევანი

სასწავლო მოდულები:

- დამკვირვებლის როლი საარჩევნო პროცესში;
- დამკვირვებლის უფლებრივი მდგომარეობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები;

ტრენინგის პრაქტიკული სწავლების ფორმატში უზრუნველყოფილ იქნა სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმის "კენჭისყრის დღის პროცედურების" ჩვენება. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები დამკვირვებლებისათვის.

3.7. ტრენინგები საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების) წარმომადგენლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 117 წარმომადგენელმა, მათ შორის: 33 - საინიციატივო ჯგუფებიდან, 84 - პოლიტიკური პარტიებიდან.

სასწავლო მოდულები:

- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის როლი და უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში
- კენჭისყრის დღის პროცედურები
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები

ტრენინგის პრაქტიკული სწავლების ფორმატში უზრუნველყოფილ იქნა სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმის "კენჭისყრის დღის პროცედურების" ჩვენება. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

3.8. ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრთან ერთად განახორციელა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებისათვის.

პროექტი განხორციელდა სამ ეტაპად:

I ეტაპი – სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადება (ტრენერთა ტრენინგი)

II ეტაპი – ტრენერთა მიერ სასწავლო პროგრამის განხორციელება სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვა თანამშრომლებისათვის

III ეტაპი – ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

სასწავლო მოდულები:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხები
- სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების წესი
- პატიმრების მიერ ხმის მიცემის პროცედურები

პატიმრების მიერ საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზებასთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

3. 9. მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსების ჩატარება:

I. საგრანტო თემატიკა:

არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების გაძლიერების ხელშეწყობა

საგრანტო კონკურსის მიზანი:

არჩევნებში სადამკვირვებლო მისიის განმახორციელებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებისა და მათი წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი" (CDD)	ძლიერი სადამკვირვებლო ორგანიზაციები – საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის	თბილისი და 10 რეგიონი	49985 ლარი
2	სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები	„სადამკვირვებლო მისია - საარჩევნო პერიოდში"	თბილისი და რეგიონები	49952.50 ლარი
3	ახალი თაობა – ახალი ინიციატივა	საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მონიტორინგი, პარალელური დათვლა	თბილისი, რაიონები	7990 ლარი
4	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	სადამკვირვებლო მისია 2013	თბილისი, ქუთაისი	50000 ლარი

II. საგრანტო თემატიკა:

ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში

საგრანტო კონკურსის მიზანი:

საზოგადოებაში საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სწავლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება.

სამიზნე ჯგუფები:

- ახალგაზრდა ამომრჩევლები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლები;
- ეთნიკურ ჯგუფები;
- ქალები.

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	ახალგაზრდული არჩევანი 2013	თელავი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი	29350 ლარი
2	გენდერული კულტურის ცენტრი	ჩემი პირველი არჩევნები	კახეთი	30000 ლარი
3	„სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი“	“ინფორმირებული ამომრჩეველი, დემოკრატიული არჩევნებისთვის”	მცხეთა - მთიანეთი	29930 ლარი
4	ფონდი ALPE	წარმატებული არჩევნები - მდგრადი დემოკრატია	თბილისი და 10 რეგიონალური ცენტრი	29140 ლარი
5	“ევროპულ დემოკრატიული ცენტრი”	„სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებით“	ზუგდიდი	29900 ლარი
6	კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	თანაბარი საარჩევნო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის	ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, ზუგდიდი	27660 ლარი
7	„საზოგადოებრივი დამცველი“	საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლის როლის გააქტიურება	კახეთი და ქვემო ქართლი	29080 ლარი
8	საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	„საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლის როლის გააქტიურება“	კახეთი და ქვემო ქართლი	26995 ლარი
9	“ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი”	აქტიური ახალგაზრდა ამომრჩეველთა ქსელი-დემოკრატიული არჩევნებისათვის	სამცხე - ჯავახეთი	28490 ლარი
10	დემოკრატიის ქსელი	ინფორმირებული ამომრჩეველი 2013	მცხეთა-მთიანეთი	28450 ლარი
11	ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სამონიტორინგო ჯგუფი	ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკურ აზერბაიჯანელ ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა	ქვემო ქართლი	16165 ლარი

12	„ეროვნული დემოკრატიის საზოგადოებრივი დარბაზი“	„საპრეზიდენტო არჩევნები - ახალი პოლიტიკური სისტემის ჭრილში“	სამეგრელო	27 640 ლარი

<u>III. საგრანტო თემატიკა:</u>

საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი

საგრანტო კონკურსის მიზანი:

პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კვლევების განხორცილებას შემდეგი მიმართულებებით:

- სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასება
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობების შესწავლა/ანალიზი
- ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შესწავლა/ანალიზი

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების აკადემია	კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობების შესწავლა/ანალიზი	თბილისი რეგიონები	59250 ლარი
2	ააიპ „საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი“ (GIDC)	ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროექტების შეფასება საქართველოს მასშტაბით	თბილისი რეგიონები	59112 ლარი
3	კავშირი ბი–სი–ჯი კვლევა	ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შესწავლა/ანალიზი	საქართველო	59200 ლარი

ნაწილი III

საქმიანობა არჩევნების შემდგომ პერიოდში

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	**საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა**
1.1.	შემაჯამებელი შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებთან
მიზანი №2	**ინფორმირებული ამომრჩეველი**
1.1.	სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის
1.2.	საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო - 2013 პროექტისათვის „პირველი ამომრჩეველი“
მიზანი №2	**დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა**
2.1.	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება მათი განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად
2.2.	შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან

მიზანი №1. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

1.1.შემაჯემებელი შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებთან

სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებთან გამართა შემაჯამებელი შეხვედრა, რომელიც დაეთმო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში განხორციელებული სასწავლო პროგრამების შეფასებას, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო გეგმების დასახვას.

სამუშაო შეხვედრის ფორმატში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ტრენერთა კორპუსის მომზადება, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგების სისტემა, სასწავლო მოდულები და მასალები, მეთოდოლოგია, ლოჯისტიკა, კომუნიკაციის ეფექტიანობა, მონიტორინგი.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ცესკოს თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ჟვანიამ, ცესკოს წევრებმა, პარტნიორი ორგანიზაციის - გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) წარმომადგენლებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის 111 ტრენერმა.

მიზანი №2. ინფორმირებული ამომრჩეველი

1.1. სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სწავლების ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას „საარჩევნო სამართლის დარგში“ მემორანდუმის ხელმომწერ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში:

პერიოდი	ფაკულტეტი/მიმართულება	უნივერსიტეტი
21.09.2013 31.12.2013	ჟურნალისტიკა	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
		გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი
		საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
	იურიდიული	გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი
		ილიას სახელობის უნივერსიტეტი
		თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
		გორის სასწავლო უნივერსიტეტი

აღნიშნული სასწავლო კურსი ასევე ხორციელდება საარჩევნო ადმინისტრაციის ბაზაზე არსებულ „იურიდიულ კლინიკაში“.

ძირითადი სასწავლო მოდულები: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები; ქალაქ თბილისის მერის არჩევნები; რეფერენდუმი და პლებისციტი.

სასწავლო მეთოდოლოგია:

- ელექტრონული სწავლება (გამოიყენება ვიზუალიზირებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები“)
- ვერბალური სწავლება
- პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები)
- როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება)

1.2. საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო - 2013 პროექტისათვის „პირველი ამომრჩეველი“

2013 წლის სექტემბერში გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი - „საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2013“. მსოფლიო დონის წარმომადგენლობით კონკურსში მონაწილეობა მიიღო მრავალი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციებმა, რომლებმაც მათ მიერ შემუშავებული პროექტები წარადგინეს სხვადასხვა საარჩევნო ნომინაციებზე.

აღნიშნულ საერთაშორისო კონკურსში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრმა წარადგინა პროექტი ნომინაციაზე - „პირველი ამომრჩეველი“, რომელშიც ასახული იყო ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო კულტურის განვითარების მიმართულებით სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები, მათ შორის, საქართველოს უნივერსიტეტებში დანერგილი მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი - „სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში“.

2013 წლის 1 ნოემბერს საერთაშორისო საარჩევნო დაჯილდოვების კომიტეტის გადაწყვეტილებით ნომინაციაზე - „პირველი ამომრჩეველი“ ფინალისტებად შეირჩა საქართველო - ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ წარდგენილი პროექტით, რუმინეთი და პერუს რესპუბლიკა.

ფინალისტთა შორის საბოლოო გამარჯვებულების დასახელება და დაჯილდოვების ცერემონია, საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) ორგანიზებით, გაიმართა მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, მალაიზიაში, კუალა-ლუმპურში, სადაც მიწვეული იყვნენ სწავლების ცენტრისა და ცესკოს წარმომადგენლები.

საერთაშორისო კონკურსის ნომინაციაზე - „პირველი ამომრჩეველი“ ფინალისტებად შერჩეული ქვეყნების წარმომადგენლებს შორის გამარჯვებულად გამოცხადდა ცესკოს სწავლების ცენტრის დირექტორი - ნათია ზაალიშვილი წარდგენილი პროექტისათვის, რომელიც საარჩევნო დაჯილდოვების კომიტეტის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა 2013 წლის ყველაზე ინოვაციურ და ორიგინალურ პროექტად, რომელსაც გააჩნია გრძელვადიანი შედეგები ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო კულტურის განვითარების მიმართულებით.

მიზანი №2. დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

2.1. შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სწავლების ცენტრმა გამართა შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები საარჩევნო პროცესების მონიტორინგში და ასევე, მონაწილეობა მიიღეს ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დამკვირვებლებისათვის ორგანიზებულ ტრენინგებში.

დაგეგმილი ღონისძიება დაეთმო ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის განხორციელებული სასწავლო პროგრამების შეფასებასა და სამომავლო გეგმების დასახვას. სამუშაო შეხვედრა გაიმართა სწვალების ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციის - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცესკოს წევრებმა და 20 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

2.2. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება მათი განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა 2013 წლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით:

პოლიტიკური პარტიის დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	სულ 2013 წ.
პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია საქართველოს რესპუბლიკური პარტია	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია საქართველოს კონსერვატიული პარტია	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია მოქ. პოლ. გაერთ. "ჩვენი საქ.-თავისუფალი დემოკრატები"	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ფორუმი"	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" (ახლები)	18285.14	18285.14	18285.14	36824.22	91679.64
ა(ა)იპ, პარტია ,,საქართველოს გზა"	18285.14	18285.14	18285.14	36824.22	91679.64
პოლიტიკური პარტია მოქ. პოლ. გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	73140.57	73140.57	73140.57	147296.89	366718.60
პოლიტიკური გაერთიანება "ხალხის პარტია"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
პოლიტიკური მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
ჯამი	**304,752.34**	**304,752.34**	**304,752.34**	**613,737.07**	**1,527,994.09**